ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №371431

ნომერი: AR183302

თარიღი : 26.09.2012

გაცემის თარიღი : 28.09.2012

გაცნობის თარიღი : 28.09.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ვარკეთილი , მიკრო/რაიონი IV , რიგი II , კორპუსი 14 , მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , დასახლება ვარკეთილი , მიკრო/რაიონი IV , რიგი II , კორპუსი 14 , მიმდებარედ , (ნაკვეთი 14/194) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დავით გაბროშვილი პ/ნ 01012010820
- ვაზისუბანი მე-2 მკ, 1-ლი კორპუსი, ბინა #89

ორგანიზაცია:
- შპს "ალფა მოტორსი" კოდი: 206108442

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის

2008 წლის 23 სექტემბრის #859 ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2012 წლის 26 სექტემბერს #AR183302 განცხადებით მომართა მოქ. დავით გაბროშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების

საქალაქო სამსახურის 2008 წლის 23 სექტემბრის #859 ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანა საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო მონაცემების ცვლილების გამო.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ 2008 წლის 23 სექტემბერს დადგინდა #859 ქალაქთმშენებლობით პირობები ინდივიდუალური საწარმოს აშენების მიზნით ქ. თბილისში, ვარკეთილის დას, მე–4 მ/რ, მე–2 რიგი, კორპუსი #14–ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: 01.19.36.014.131). ამავე ტერიტორიაზე თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 23 დეკემბრის #01/3912 ბრძანებით შეთანხმებულია ინდივიდუალური საწარმოს კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაცემულია შესაბამისი მშენებლობის ნებართვა (სანებართვო მოწმობა #ნ/4084–1). დღეის მდგომარეობით განხორციელდა საპროექტო ტერიტორიის ფართობის გაზრდა (წარმოადგენს 2930 კვ.მ.-ს) და საკადასტრო მონაცემების ცვლილება (რეგისტრაციის №882012422492 საკადასტრო გეგმის მომზადების თარიღი: 08.08.2012 წ.; საკადასტრო კოდი: 01.19.36.014.423 ამონაწერის მომზადების თარიღი: 30.01.2012წ, (რეგისტრაციის №882012036079). ამასთან, ვინაიდან, რადგანაც ობიექტი ექსპლუატაციაში მიღებული არ არის და მშენებლობა მიმდინარეობს ძველი დოკუმენტაციით, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელია #859 23.09.2008წ. ქალაქთმშენებლობით პირობებში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები: საპროექტო მიწის ნაკვეთად დაფიქსირდეს 2930 კვ.მ. ფართობისა და 01.19.36.014.423 საკადასტრო კოდის მქონე მიწის ნაკვეთი და გამოყენების პირობებს დაემატოს ახალი საკადასტრო გეგმა და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის №882012422492 საკადასტრო გეგმის მომზადების თარიღი: 08.08.2012 წ.; საკადასტრო კოდი: 01.19.36.014.423 ამონაწერის მომზადების თარიღი: 30.01.2012წ, (რეგისტრაციის №882012036079).

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის. ამდენად, ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. დაკმაყოფილდეს მოქ. დავით გაბროშვილის 2012 წლის 26 სექტემბრის AR183302 განცხადება;
2. ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 23 სექტემბრის #859 ქალაქთმშენებლობით პირობებში შეტანილი იქნეს ცვლილებები: კერძოდ, საპროექტო მიწის ნაკვეთად დაფიქსირდეს 2930 კვ.მ. ფართობისა და 01.19.36.014.423 საკადასტრო კოდის მქონე მიწის ნაკვეთი და #859 ქალაქთმშენებლობით პირობებს დაემატოს ახალი საკადასტრო გეგმა და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის №882012422492 საკადასტრო გეგმის მომზადების თარიღი: 08.08.2012 წ.; საკადასტრო კოდი: 01.19.36.014.423 ამონაწერის მომზადების თარიღი: 30.01.2012წ, (რეგისტრაციის №882012036079).
3. აღნიშნული გადაწყვეტილება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 23 სექტემბრის #859 ქალაქთმშენებლობით პირობებთან და 2012 წლის 26 სექტემბრის AR183302 განცხადებით ატვირთულ დოკუმენტაციასთან ერთად.
4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.